წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N2

13 მაისი 2022 წელი

ქ. წალენჯიხა

სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე კორნელი სალია

სხდომას ესწრებოდნენ :

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: გიორგი დარსალია, თამარ ბელქანია, დალი კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, მაია მიქავა, რომან კვარაცხელია, ზაზა უბილავა, სოლომონ სარია.

სხდომას ონლაინ ასევე ესწრებოდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი დიმა კვარაცხელია.

სხდომას არ ესწრებოდნენ : დარეჯან დადიანი, ნანა ქაობალია, ეკა სამუშია, მამუკა მიქავა, ჯულიეტა როგავა, კახა კვარაცხელია;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ გენდერზე პასუხისმგებელი პირები:

ხატია მაქაცარია - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

თამთა სალია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომა დაიწყო: 17:00 სთ.

სხდომა დასრულდა :17:45

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: კორნელი სალია - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

2. სხვადასხვა.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხილვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საბჭოს წევრებს გააცნო „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა“ მომხსენებელმა ისაუბრა სამოქმედო გეგმის ძირითად მიმართულებებზე , საბჭოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე, აქტივობებზე და იმ მნიშვნელოვან გამოწვევებზე, რომლებიც გენდერული საბჭოს მუშაობის პროცესში წამყვან როლს ასრულებს.

აზრი გამოთქვეს:

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა მაია მიქავამ ხაზი გაუსვა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს, მან წარმოადგინა წინადადება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთათვის სასწავლო ტრენინგ-მოდულების პრიორიტეტად დანერგვის შესახებ და ერთიანი პლათფორმის შესაქმნელად გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის სტატისტიკის შექმნის შესახებ. ასევე ისაუბრა სოფლებში შემეცნებითი კვირეულის ფარგლებში ღონისძიებების დანერგვაზე. აღნიშნული პროექტები ვინაიდან დაკავშირებულია ფინანსებთან და სოციალურ საკითხებთან მიზანშეწონილია რომ გენდერის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის და სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურების წარმომადგენლები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა დალი კვარაცხელიამ საბჭოს წევრებს განუმარტა , რომ საწყის ეტაპზე აუცილებელია კვლევის ჩატარება, გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება , დაინტერესულ პირებთან და სამოქალაქო სექტორთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა.

დისკუსიას ონლაინ ჩაერთო გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი დიმა კვარაცხელია, მან წამოაყენა წინადადება , გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგ-მოდულების ნაცვლად მოხდეს ვიდეორგოლების გადაღება .

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე კორნელი სალია გამოეხმაურა დიმა კვარაცხელიას ინიციატივას და აღნიშნა, რომ კლიპის გადაღებისთვის თანხების დახარჯვა არამიზნობრივია, როცა მსგავსი ვიდეორგოლების გადაღება მერიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სპეციალისტსაც შეუძლია.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა ასმათ კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ უმთავრეს გამოწვევად რჩება ინფორმირებულობა გენდერული საკითხების, ასევე ოჯახური ძალადობის სტატისტიკის და დინამიკის შესახებ პერიოდულად უნდა მოხდეს ინფორმაციის გამოთხოვა სამართალდამცავი უწყებიდან. ასევე ეთხოვოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წალენჯიხის

რაიონულ სამმართველოს გამოყოს საბჭოს შემადგენლობაში მონაწილეობის მისაღებად პასუხისმგებელი პირი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა თამარ ბელქანიამ, ისაუბრა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ სოციალურ პროგრამებზე, ზოგადად პროგრამების ეფექტურობაზე და პროგრამების შესაბამის ბენეფიციარებისთვის მორგებაზე.

გენდერული საბჭოს საქმიანობის ეფექტურობისთვის და შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით საბჭოს წევრები ერთხმად შეჯერდნენ, რომ კიდევ ერთხელ იმსჯელებენ გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტზე, სანამ საკრებულოს წარუდგენენ დასამტიკიცებლად.

საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს

თავმჯდომარე კორნელი სალია